ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1448565

ნომერი: AR1245581

თარიღი : 20.08.2014

გაცემის თარიღი : 25.08.2014

გაცნობის თარიღი : 25.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , პურის ქარხნის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/024)/ ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება 11 მ\რ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ ლემონჯავა პ/ნ 01030037214
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 47

ორგანიზაცია:
- შპს "ფურშეტ ჯორჯია" კოდი: 404415897

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით, მსგავსი გაბარიტული ზომებით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოები. სასურველია სარეკლამო აბრა განთავსდეს შესასვლელი კარის თავზე ჰორიზონტალურად, სამსახურის მიერ გვერდითა ფასადზე შეთანხმებული აბრის მსგავსად (გადაწყვეტილება №1443059) ან გამოინახოს მისი განთავსებისთვის სხვა ვარიანტი, რომელიც კარგად ჩაჯდება და არ დაარღვევს მთლიანი შენობის იერსახეს.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

გარდა ამისა:

1. სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული
2. თქვენს მიერ წარმოდგენილია მესაკუთრის თანხმობა გაცემული შპს "ფურშეტ ჯორჯია"-ს სახელზე, რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის გოჩა ბოსტოღანაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ თქვენ გურამ ლემონჯავა. წარმოსადგენია შპს "ფურშეტ ჯორჯია"-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის გოჩა ბოსტოღანაშვილის მინდობილობა გაცემული თქვენს სახელზე, რომელიც შეგიძლიათ ატვირთოთ "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" ველში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.